№ 157. 29 ივლისი, ოთხშაბათი. 1866—1881 29 ივლისი, ოთხშაბათი. № 157

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ, ავ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭუჩაის-თან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[illegible] ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ ხანგრძლივად მოითხოვენ, [illegible] და შემოკლებებს დაუსვენებლად გამოუგზავნის წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

## „ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდიზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

ხარკოვში—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
თბილისში—გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
სევასტოპოლში—ბოლშაია მორსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის პოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე პეტერბურღში, ვარშავაში და კიევში ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლეაში. (30—3)

# ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღის ბირჟა, 27 ივლისს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 96— „ |
| მეორესი— — — — | 94—62 |
| მესამესი — — — — | 94— „ |
| მეოთხესი — — — | 94—37 1/2 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 91—75 1/2 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92—75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91— 7 |

ოქრო, 1/2 იმპერიალი 7—80

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 225— „ |
| მეორე სესხის — — — | 223—75 |

| 1 მანეთი ღირს: | |
|---|---|
| ლონდონი — — | 25—65 პენსი |
| ბერლინი — — | 224—25 პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 219—25 ცენტი |
| პარიჟი — — — | 270—50 სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | |

## ახალი ამბავი.

ტომსკის გაზეთი „მედუს“ სწერენ ერევნიდამ, რომ ბ. იოანნისიანის „შორძის“ სასარგებლოთ ხელის-მოწერა არის გამართული ერევნის გუბერნიაში.

მკითხველმა იცის, რომ ეს ჟურნალი, საშვალების ნაკლულევანებისა გამო, დაიხურა ეს ორი-სამი კვირაა.

* * *

ჩვენ გვაცნობეს, რომ ბატ. მ. საბინინს წაუღია პეტერბურგში ანტონ კათალიკოზის „მზა მეტყველება“, რომელსაც ის უპირებს დაბეჭდვას.

* * *

თბილისის ებრაელების რაბინს განუზრახავს ცხინვალში მცხოვრებ ქართველ ებრაელებისათვის სკოლის გამართვა, მაგრამ, სამწუხაროთ იქაურებს ჯერ ცოტა თანაგრძნობა აღმოუჩენიათ ამ საქმისათვის.

* * *

ბუშინ-ღამ ორშაბათ ღამეს (27 ივლ.) გაუჩნდა ცეცხლი აფთეკის მასალების მაღაზიას, რომელიც ბაზასხანას გვერდით არის, ჩიტახოვის ბანკის ახლო. სამ-შაბათს თორმეტ საათზე ცეცხლი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა.

## „დროების“ კორრესპონდენციები.

**ოზურგეთი, 24 ივლისს.** ერთი შემთხვევა მოხდა ოზურგეთში, რომელმაც მთელი ოზურგეთის ქალაქის მცხოვრებლები შეაწუხა. აი რაში მდგომარეობდა ეს ამბავი: ოცს ამ ივლისის თვისას, დღით თერთმეტი საათიდამ მესამე საათიმდი, ოზურგეთის ადგილობრივი კამანდის ოთხმოც-და ხუთი სალდათები უცებ გახდნენ ავათ. შეიქნა დიდი ძრვა, ექიმების ფაცური; ხალხში ხმა გავარდა უნდა ხოლერა იყოსო.—ბევრი ქნებათ გაგონილი, რომ აქ ქვეყნიერების დაქცევას ელიან და ხალხი დასწყდებაო. გადავსწყვიტეთ გულში: ეს არის ეხლა უნდა იქნას მეორეთ მოსვლაო და მეორე დღემდი დიდი პირის-ჯვრის წერა და ღვთის ვედრებაში ვიყავით. მეორე დღეს გავიგეთ, რომ ადგილობრივი კამანდის კამანდირს გამოუმცხადებია წინა დღით სალდათებისთვის: რადგანაც ლახანა (კაპუსტა) და ხორცი ძვირათ იყიდე-

**«დროების» ფელეტონი, 29 ივლისს.**

## გრიზელდა.

(მოთხრობა ბოკკაჩიოდგან)

მარკიზის სიკვდილის შემდეგ იტალიის უმფროსობა დაიჭირა გვალტიერმა, რომელიც უცოლ-შვილო იყო და ფიქრათაც არ ქონდა ცოლქმრობის უღელში გაბმულიყო. უმეტეს ნაწილს თავის ცხოვრებისას გვალტიერი ატარებდა მწყერ-მიმინოებთან და ნადირობაში. ამ გვარი მისი ცხოვრება არ მოსწონდათ იმის კაცებს, რომლებიც მალ-მალ ეტყოდნენ ხოლმე: „ბატონო, თქვენ გეჭირვებათ მემკვიდრე, ცოლი შეირთეთ; ჩვენ თვითონ ამოვირჩევთ საცოლოს, კეთილ-შობილ დედ-მამის ქალს. ჯერ კარგა ხანი გვალტიერი ყურადღებას არ აქცევდა თავის ქვეშევრდომების სიტყვებს, მერე კი, მოთმინებიდგან გამოსულმა, შეჰკრიბა თავისი ხალხი, რომელსაც გამოუცხადა თავისი ჰაზრი: „თქვენ გსურთ, რომ მე ცოლი შევირთო, მაგრამ მე არა, რადგანაც ვარ დარწმუნებული, რომ ამ ჩემს ხმელეთზედ არ მოიპოვება ჩემი საკადრისი ქალი. მაგრამ, რადგანაც გსურთ, მე აგისრულებთ სურვილს,, თუ რომ თქვენ ამისრულებთ სამაგიეროთ: უნდა მომცეთ პირობა, რომ ჩემი ცოლი იქნება თქვენთვის საყვარელი და პატივისცემას არ მოაკლებთ. მაგრამ ესეც უნდა გითხრათ, რომ თქვენ ძალიან სტყუვდებით, როცა იძახით—საცოლოს ამოვირჩევთ კეთილ-შობილის ოჯახიდამაო; განა იშვიათი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ დედ-მამა ღვთისნიერნი ხალხი იყვნენ, და ქალი-შვილი კი ღვთის რისხვა? ესეც უნდა გითხრათ, თუ რომ ავჩქარდებით, შეიძლება მეტათ მოვსტყუვდეთ ქალის ამორჩევაში, და მაშინ სიცოცხლე გამიმწარდება. მერე თუნდაც არ გამოდგეს ჩემი ცოლი ღირსი თქვენის სიყვარულისა და პატივცემისა, მაინც მე ვიქნები უბედნიერესი გვალტიერი, რადგანაც აღსრულებული მექნება თქვენი სურვილი. ქვეშევრდომებმა დიდის სიამოვნებით და სიყვარულით მისცეს თანხმობა, გვალტიერს და სთხოვეს, რომ მალე შეუდგეს თავის ჰაზრის—აღსრულებაში მოყვანას.

გვალტიერს სიყმაწვილობიდგანვე უყვარდა ერთი გლეხი კაცის ქალი-შვილი, რომელიც ცხოვრობდა იმის დარბაზის მახლობ. (იმ ქალს ერქვა გრიზელდა, მამას ჯიანუკოლი) ერთხელ გვალტიერმა დაუძახა ჯიანუკოლს, რომელსაც გამოუცხადა თავისი ჰაზრი გრიზელდის შერთვის შესახებ. მერე შეჰკრიბა რამდენიმე თავისი ქვეშემრდომნი და გამოუცხადა: „საყვარელნო მეგობრებო, მე ახლა მომყავს აღსრულებაში ჩემი ძოცემული სიტყვა, თქვენც უნდა აასრულოთ თქვენი სიტყვა, რომელიც ვალდებულ გხდით დიდის პატივის ცემით მოეპყრათ ჩემს ამორჩეულს საცოლოს, რომელიც ცხოვრობს ჩვენს მახლობლათ“. ქვეშემრდომებმა პირობა მისცეს. „ამასთანავე გთხოვთ, საყვარელნო მეგობრებო, დაუმატა გვალტიერმა, მოამზადოთ მშვენიერი სადილი, მოიფიქროთ, რა პატივით და ამბით უნდა დახვდეთ თქვენი ბატონის ცოლსა; ერთი სიტყვით, მოიქეცით ისე, რომ დავრჩე კმაყოფილი, როგორათაც თქვენ ხართ ჩემგნით კმაყოფილნი“.

ქვეშემრდომები მაშინათვე შეუდგნენ სადილის მომზადებას. გვალტიერმა მოიპატიჟა ყველა თავისი ნათესავები და ნაცნობები; გამოაჭრევინა ერთი მოსამსახურის ტანზედ ძვირფასი ფარჩეულიდგან ტანისამოსი, აგრეთვე მოამზადებინა ძვირფასი ქამარი, ბეჭდები, საყურები და კიდევ სხვანი ქალის მორთულობანი. მომზადების შემდეგ გვალტიერმა მოიხმო ორიოდე საპატიო კაცები, იახლო ისინი და გასწია პატარძლის მოსაყვანად. ამ დროს გრიზელდა ჭაზე იყო და ჭიდგან წყალს იღებდა ნელ-ნელა. რამწამს დაინახა გვალტიერი, მაშინვე ხელს აუჩქარა: უნდოდა დროზედ ამოეღო და წასულიყო ქორწილის საყურებლად; (გრიზელდამ ჯერაც არ იცოდა თავისი ბედნიერება). სანამ ცხენოსნები მივიდოდნენ ჯიანუკოლის ქოხთან, გრიზელდა დაეწია იმათ. გვალტიერმა დაინახა თუ არა დაუძახა: „გრიზელდა, სად არის მამა შენი?—შინ გახლავთ, მიუგო გრიზელდამ. გვალტიერმა იქვე დააყენა ცხენოსნები, თითონ კი დაღუნა თავი და შევიდა ქოხში ჯიანუკოლთან, რომელსაც შესვლისათანავე უთხრა შემდეგი: „მე მსურს გრიზელდის წაყვანა, მაგრამ ჯერ უნდა ნება მომცე, შენთანვე მოველაპარაკო მაგას; მიიხმო ახლოს გრიზელდა და ჰკითხა: „გსურს, თუ არა ჩემი ცოლი იყო? იქნები, თუ არა ჩემი პატივისმცემელი? იქნები აღმსრულებელი ყოველივე ჩემის ნებისა, თუ არა? გრიზელდამ სირცხვილით და სიხარულით თავი ჩაღუნა და დინჯათ უპასუხა:—მაგას, მოწყალეო ხელმწიფევ, ეჭვი არა აქვს, რო ვიქნები. გვალტიერმა მაშინვე გაახდევინა კონკიანი კაბა და ჩააცვა წინათვე მომზადებული ძვირფასი ფარჩის კაბა, დაადგა თავზედ სიხარულის გვირგვინი, გამოიყვანა გარეთ და უთხრა ხმამაღლა გარეთ მდგომ ხალხს: „აი ეს ქალია, რომელიც მე ამომირჩევია ცოლათ; ეს არის ის, რომელსაც სურს ჩემთან სიცოცხლე და ჩემთანვე სიკვდილი“. თავის სიტყვების დასამტკი-

ბაო მონახეთ ტყის ბალახი, ესე იგი ჭიას-ფერა, რომელსაც რუსები ეძახიან „ჟარნი ტრავას“ და იხმარეთ კაპუსტის მაგივრათ. რასაკვირველია სალდათები დაემორჩილებოდენ კომანდირის ბრძანებას და შეუშზადებიათ ჭიას-ფერით სუფი. უწყენია ყველასთვის ჭიას-ფერას და ყველანი ერთობ ავათ გახდნენ; დასივდნენ მუცელზედ და ისე გახდნენ, როგორც მოწამლულნი.

საკვირველია, ღმერთმა იცოდეს, ბატ. კომანდირის საქმე. ოზურგეთში კაპუსტა ფუთი ორ აბაზათ იყიდება და მთელი კამანდა ლამის ჭიის-ფერით დახოცეს. ჯიდევ კარგი ბედი, რომ არავინ მომკვდარა, მაგრამ ის ამდენი ხალხი რომ დაღუპულ-იყო, მაშინ რაღას იზამდნენ?

ლაზარე ჩხატარაიშვილი.

---

**საჩხერე**, 26 ივლისს. რადგანაც აქაურს ახალსა და ძველს შავი ქვა (მარგანეცი) შეადგენს, ამისათვის მეც ამიდგან დავიწყობ.—ყველას კარგათ მოეხსენება, რა გაწა-მაწია დააყენა ამ შავმა ქვამ ზოგიერთებს; ფულიანი და უფულო ყველა შიგ ეჩრება, ღარიბი გამდიდრებას ელის და მდიდარი კიდევ უმეტესობას. ბევრი დღესვე ბედნიერათა სთვლის თავის თავს მარტო მით, რომ თავისი ოცნებური ანგარიშით მალე მილიონის პატრონი შეიქნება.

მარგანეცის მწარმოებელთ, ამ უკანასკნელ დროში, გაერია ერთი მდიდარი თავადიც ბ. მ. ამ თავადმა მტრულის თვალით დაუწყო ყურება ადგილობრივ მოსახლეობას და ქვის მწარმოებელთ და გამართა იმათთან ცილობა. თითონ ადგილის მუშებიც არ ინდომა მისმა ბრწყინვალებამ და ჩამოიყვანა ოსეთიდამ რამდენიმე ასი ოსი თვისის ცხენებით და ეტლებით მარგანეცის გადასატანათ. ამითი ადგილობითი მცხოვრებლები, რასაკვირველია, მოაკლდნენ იმ ქირას, შემოსავალს, რომელსაც იღებდნენ ქვის გადატანაში და მასთან შევიწროვდნენ ოსებიდგან, რადგანაც ამათი შიშით გარეთ გამოსვლა უძნელდებოდათ. მაგრამ ახლა ეს ოსებიც მიდიან, ღვთის მადლით.

გზა შორაპნიდამ საჩხერემდის ახლა ორია, ერთი ძველი, რომელიც თანდა-თან ხდება და მეორე ახალი, რომელსაც აკეთებინებენ გლეხებს მუქთათ. პირველს უძახის ხალხი „ჩვენ გზას“ და მეორეს „მარგანეცის გზას“, რომლის გაყვანა — ჯერ კიდევ ვერ მოესწარით.

შავი ქვის გამოჩენამ ბევრს მოაგონა, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია სხვა მადნეულებითაც და ეს სიმდიდრე უფრო უნდა იყოს ჭალის მთაში, მდ. ყვირილის სათავეში, სადაც კიდევაც არის ნიშნები: რკინის, სპილენძის, ვერცხლის, ნავთის, შაბის და სხვა მადნეულებისა. ხშირათ ნახავთ აქ გარდა სხვა-და-სხვა ძველი ქვის შენობებისა, სამჭედურების ნაშთებსაც.

ახლა ეს მთა აიღო იჯარით მეპატრონეებთაგან ერთმა პატივცემულმა პირმა აზ. გ. ე. წ. ხალხი დიდის რწმუნებით და სასოებით შეჰყურებს იმას და იმედი აქვს, რომ მისი შრომა ამ მთაში უნაყოფოთ არ ჩაივლის, გამოაჩენს რამე სასარგებლო მადნეულს, რომელსაც აქნობამდის უსარგებლოთ სძინავს და ამითი ბევრის მხრით გააუმჯობესებს ადგილობრივი მცხოვრებლების მდგომარეობას.

ს.

---

**სიმონეთი**, 24 ივლისს. სიმონეთი იმისთანა სოფელია, რომ ბევრით არ ჩამოუვარდება იმერეთის არც ერთს საუკეთესო სოფელს მდებარეობით და მცხოვრებთა სიმრავლით. აქ სახლობენ 900 კომლი და არის რამოდენიმე ეკკლესია. მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმონეთს ბევრი მაზე უფრო პატარა სოფელი სჯობია სკოლის მომართვითა და ბანკის არსებობით. აქ ბანკის ხსენებაც კი არ ყოფილა დღემდის და დღეს კი ადგილობრივნი კეთილ-შობილნი თაოსნობენ მისს დაარსებას. მათ მხნედ ეხმარებიან გლეხები, ასე რომ, იმედია, ხელიხელს გაყრილი ეს ორი წოდება მალე მიაღწევენ თავიანთს საწადელს და სიმონეთს აღირსებენ კრედიტისას წყაროს.

რაც შეეხება სკოლას, ის უფრო სახელობით არსებობს აქ, ვიდრე *de facto*. ისე დაშორებულია სკოლის შენობა შუა-გულ სოფელზე (სულ 6 მანძილი ვერსი) რომ ბავშები ვერ სძლებენ ყოველ დღე იქ სიარულს და ხანდისხან თუ მიაკითხვენ, ისიც კარგია. რა უნდა ისწავლოს ბავშმა ამისთანა სკოლაში? აუცილებლად საჭიროა, რომ სიმონეთის საზოგადოებამ ეს სკოლა გადმოიტანოს სოფლის შუა ალაგს სახელდობრ ბ-ნ ბლალოჩინის სამრევლოსაგან გამოყოფილს საზოგადოების ეკკლესიის გალავანში. ამ ადგილს ხალხი მჭიდროდ არის დასახლებული.

როგორც სწავლა ისე სასულიერო მოძღვრებაც განზე გასდგომია სიმონეთს... სასულიერო წოდების უფროსი წარმომადგენელი აქ მის მაგიერ, რომ მრევლს სულიერის მოძღვრებით ხელმძღვანელობდეს, განხეთქილებას ახდენს საეკლესიო საქმეებში და ჰყოფს პარტიებათ საზოგადოებას. მაგალითად შემდეგი ამბავი მიამბო ერთმა აქაურ მანდილოსანმა. „გამოყოფილის საზოგადოების ეკკლესიას შევსწირე ერთი ხატიო, რადგანაც ახალ აშენებულს ეკკლესიაში ხატი არ მოიძებნებოდაო. სასულიერო წოდების ადგილობრივმა უფროს წარმომადგენელმა დახვდა გზაზე ხატის წამღებელთა და საბლაღოჩინო ეკკლესიაში მიასვენაო. ამასთანავე მან უცებ გამართა ხელის-მოწერა და მაუწყა, რომ რამდენიმე ასს მცხოვრებელს

---

ცებლათ მიუბრუნდა გრიზელდას და ჰკითხა: თანახმა ხარ, თუ არა? ამ დროს სიხარულისგან აღტაცებულ გრიზელდამ უპასუხა—ვარ, ხელმწიფევ.

ჯვარწერის შემდეგ გრიზელდა მიიყვანეს გვალტიერის ზალაში, სადაც იყო მომზადებული მშვენიერი სადილი, და მიეგება დიდ-ძალი ხალხი. ზალის მორთულობამ და სურათმა დიდი გავლენა მოახდინეს გრიზელდაზედ. ამ მოულოდნელმა სანახავმა სულ გამოცვალა გლეხი კაცის შვილი, — ასე გაშინჯეთ, მიხვრა-მოხვრაც კი გამოიცვალა გრიზელდამ. გრიზელდამ თავისი ტკბილი ხასიათით და მშვიდი ყოფა-ქცევით ყველას შეაყვარა თავი; სულ დაივიწყეს, რომ გრიზელდა გლეხი კაცის ქალი იყო, ყველანი პატივისცემით და დიდის სიყვარულით ეპყრობოდნენ იმას. ერთის სიტყვით, გრიზელდამ თავისი ხასიათით და ყოფა-ქცევით გაამართლა გვალტიერის მოლოდინი.

ერთი წლის განმავლობაში გრიზელდას ეყოლა მშვენიერი ქალიშვილი, რომლის დაბადებაც გვალტიერმა დიდის სტუმრობით გარდაიხადა; გვალტიერი თუმცა სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა, მაგრამ დროებითი ბედნიერება უბედურს გრიზელდას დროებითვე მწუხარებათ გარდაუქცია. გვალტიერმა მოინდომა გრიზელდის ხასიათის და მოთმინების გამოცდა. შეიკრა თვალ-წარბი და უთხრა: „ჩემი ქვეშევრდომები მასხარათ მიგდებენ, რომ შენ, გლეხი კაცის შვილი, ცოლათ შევირთე; უფრო იმაზედ არიან გაჯავრებულნი, რომ შენ გეყოლა ქალი, და არა ვაჟი. ამ სიტყვებმა ერთი-ბეწო ცვლილებაც არ მოახდინეს გრიზელდის სახეზედ; იმან დამშვიდებულათ უპასუხა შემდეგი: „ისე მოიქეც, ხემწიფევ, როგორათაც გიჯობდეს, ისე იმოქმედე, რასაც ითხოვდეს პატიოსნება, სარგებლობა და შენი სახელოვანება; მე ყველაფრის თანახმა ვარ; მახსოვს, რომ ვიყავი უკანასკნელი შენი მოსამსახურე და არ ვივიწყებ იმას, რაც შენ მოახდინე ჩემთვის, ჩემი უბედური თავისთვის“. ამ გვარი პასუხი გვალტიერს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ გული გაიქვავა და ამას არ დასჯერდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გრიზელდასთან შემოვიდა გვალტიერის გამოგზავნილი მოსამსახურე, რომელმანც მოახსენა შემდეგი: „პატივცემულო ქალბატონო, მე უნდა ავასრულო თქვენი ქმრის ბძანება, თორემ მომკლავს, უნდა წავიყვანო თქვენი შვილი... (მეტი ვეღარა მოახსენა გულ-ამომჯდარმა მოსამსახურემ) უბედურმა გრიზელდამ მოისმინა თუ არა მოსამსახურის სიტყვები, მაშინვე მიხვდა,— ახსოვდა გვალტიერის წინეთ ნათქვამი სიტყვები და დანარჩენი—მოსამსახურის თვალებიდგან ამოიკითხა. მერე მივარდა გამწარებული, აკვანში ბავშვი მშობლის სიყვარულით დაჰკოცნა, ჩააბარა მოსამსახურეს და უთხრა: „თუ ღმერთი გწამს უბედურს ბავშს ნადირის მსხვერპლათ ნუ გახდი, თუ რომ გვალტიერისაგან ბრძანება არა გაქვს. მოსამსახურემ მოიყვანა ბავშვი მამასთან, რომელსაც ძალიან გაუკვირდა გრიზელდის განწირულება, მაგრამ არც ამას დასჯერდა. იმან თავისი შვილი გაგზავნა გამოსაზრდელათ უცხო ქვეყანაში ერთს ახლო ნათესავთან, და ეს არავის არ აცნობა.

მეორე წლის განმავლობაში გრიზელდას ეყოლა მშვენიერი ვაჟი-შვილი. თუმცა გვალტიერს ძალიან გაუხარდა ვაჟი-შვილის ყოლა, მაგრამ გრიზელდას უფრო სასტიკი საქმე შეამთხვია. „ჩემი ხელქვეითები ძალიან დაღონდნენ, უთხრა გვალტიერმა გრიზელდას, ასე ამბობენ: მეწახირის შვილის-შვილი ჩვენი ბატონი ბრძანებელი უნდა გახდეს, ამის გამოთ მე თუ შენ არ გაგეყარე და სხვა კეთილ-შობილის ქალი არ შევირთე, უთუოდ დამითხოვენ ჩემი სახელმწიფოდამო“. გრიზელდამ ამ დარდსაც გაუძლო; მშვიდათ, დაწყნარებით მოახსენა გვალტიერს:—იქმოდე ხემწიფევ, როგორც გსურდეთ, ჩემზედ ნურას ფიქრობ: ჩემი ყოველივე ავი და კარგი შენზედ არის დამოკიდებული.“ რამდენიმე ხნის შემდეგ გვალტერმა ხელ-ახლა შემოგზავნა მოსამსახურე, რომელმაც მოახსენა, რაც პირველ ბავშს უყვეს ის უნდა გადახდეს ამასაცო. სულგრძელმა გრიზელდამ ერთი ცვარი ცრემლიც არ გადმოაგდო თვალებიდგან, მწუხარება გულში შეიმაგრა, პირის სახეზე არა ეტყობოდა რა ეს მწუხარება და ვაჟი-შვილიც ჩააბარა მოსამსახურეს. გვალტიერს უკვირდა გრიზელდის მოთმინება, გულში ამბობდა: არა, ხასიათში და მოთმინებაში გრიზელდას არა ქალი არ შეედარება. გვალტიერმა ვაჟიც იქ გაგზავნა, სადაც ქალი-შვილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ გვალტიერმა მოინდომა უკანასკნელი, მაგრამ უფრო ძნელი მოსათმენი გამოცდა. იმან გამოაცხადა საერთოთ, ვითომ რომის პაპთან გაგზავნა თხოვნა გრიზელდასთან გაყრისა და მეორე ცოლის შერთვისათვის. გრიზელდა მალე მიხვდა გვალტიერის განძრახვას, მიხვდა და იგრძნო რა უბედურებაც უნდა გადახდეს, რომელზედაც უარესს არ მოელოდა. გრიზელდა ფიქრობდა: ისევ უნდა დავბრუნდე მამი ჩემის ქოხში, ისევ უნდა ვსდიო საქონელს უკან; უნდა ჩემი პატივცემული ქმარი სხვის კალთაში ვნახო. მაგრამ გრიზელდამ გარდასწყვიტა ესეც მოეთმინა. მალე გვალტიერმა გამოაცხადა განგებ შედგენილი რომის პაპის მოწერილობა, რომლის ძალითაც დაუძახა გრიზელდას და საქვეყნოთ გამოუცხადა შემდეგი: „აი პაპის მოწერილობა, რომელიც მაძლევს ნებას მეორე ცოლის შერთვისას; მე არ მეკადრება რომ შენ ჩემი ცოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურს ის ხატი ეკკლესიაში ექმნესო!...“ თუ ამისთანა პატარა საქმეში ასე მოიქცა ამ სულიერმა მამამ, რას უნდა შვრებოდეს სხვა უფრო საყურადღებო და მნიშვნელობიან საქმეში?! საეჭვოა, რომ რამე რიგიანს მოიღვაწებდეს... პეტრე მარიანაშვილი.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ „დროებაში“. შარშან „დროების“ ნომრებში დაბეჭდილი იყო შენიშვნა ჩემს შესახებ: „ბატ. ზ. ჭიჭინაძე აპირებს ზოგიერთი ძველი წიგნებიდგან რჩეული ადგილების გამოცემასაო, რომელსაც სახელად ექმნება: „ძველი მწერლობაო“. ამ ჟამად მე უკვე შეუდექი ზოგიერთი ნაწერების გამოცემას, და ამ მოკლე ხანში გამოვა ჩახრუხაძის პოემა, რომელიც დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში, რუსთაველზე ცოტა წინეთ. ეს იქმნება პირველი ბროშურა და ამის შემდეგ მიჰყვება რამდენიმე სხვა-და-სხვა იმავე დროის მწერლების ნაწერები, რომლებსაც ექმნებათ საზოგადო სახელი „ქართველი კლასიკები“. მომეტებული ყურადღება გვექნება მიქცეული მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის მწერლობაზე და რამდენათაც შეიძლება ვეცდებით, რომ მალ-მალ გამოვსცეთ. ამ ჟამად ჩვენა გვაქვს რამდენიმე ლექსები მეთერთმეტე საუკუნის პოეტის ძაგნაკორელისა, იოანე შავთელის პოემა, იოანე პატრიწის „ქლემაქსი“ და „კიბე ცად ამყვანი“; საქართველოს კათოლიკოზი არსენ ბულმაისის-ძის იამბიკოები და სხვებიც მრავალი, რომლებსაც წიგნში დავასახელებთ. ამისა გამო მივმართავ ჩვენს საზოგადოებას და ვსთხოვ, რომ, თუ ვისმეს ამ ზემოხსენებულთ მწერლებზე რამე მოეძებნებათ გამოგვიგზავნონ ქ. თბილისს, ჩემს სახელობაზე და ანუ „დროების“ რედაქციაში, რომელთაც შემდეგ მადლობით დაუბრუნებთ. იმედი მაქვს, რომ ქართული მწერლების მოყვარეები უარს არ მეტყვიან. ზ. ჭიჭინაძე.

27 მკათათვეს.

თბილისი.

# რუსეთი

—

— მოსკოვის ტელეგრაფს ატყობინებენ პეტერბურღის დიპლომატიურ წრიდამ, რომ რუსეთის ელჩის ლონდონში თ. ლობანოვ-როსტოვსკის პარიჟში წასვლას, როგორც ამბობენ, ის მიზანი აქვსო, რომ შეჰკრიბოს უფრო დაწვრილებითი ცნობები იმაზედ, თუ როგორის შეხედულობის არის საფრანგეთი შესახებ საქვეყნო რევოლიუციონერების და სოციალისტების კრებისა, რომელიც ამის წინეთ მოხდა ლონდონში.

— გაზეთი ნოვოსტი სწერს კავკასიის სანამესტნიკოს მოსპობის შესახებ, რომ ამ გვარ ცვლილებით დიდი ეკონომია იქნებაო. მაგალითებრ, 30 ათასი ოქრო, რომელიც ყოველ წლივ ეძლეოდა მ. ი. დ. მიხეილ ნიკოლოზის-ძეს, მომავალი წლიდამ სახელმწიფო შემოსავალ - გასავლის სიაში აღარ შეიტანებაო.

# უცხოეთი

—

პარიჟი. სტამბოლიდამ ამბავი მოვიდა, რომ სულტან აბდულ-ჰამიდს უთქვამს საფრანგეთის ელჩისთვის, რომ ის მეგობრულათ უყურებს საფრანგეთს და უბრძანებს ტრიპოლის გუბერნატორს, რომ ხელი შეუშალოს საფრანგეთის მოწინააღმდეგეთ.

—

ლონდონი. პარნელი, ირლანდიის წარმომადგენელი, ინგლისის დაბალ პალატაში, ხელ-ახლა გაუგდიათ პალატიდამ გლადსტონის შეურაცხყოფისთვის.

—

ნიუ-იორკი. გარტმანი ნიუ-იორკშია. გაზეთი „ტრიბუნის“ კორრესპონდენტისოვის უთქვამს იმას, რომ ის დროებით ჩამოვიდა ამერიკაში და სრულებით არ აპირებს ამერიკაში სოციალური საზოგადოების დაწესებას.

—

ბერლინი. ჩრდილოეთი ამერიკის შტატიდამ აპირებენ გამოგზავნონ ბერლინში ელჩათ კარლი შულცი, რომელიც 1848 წელს [illegible] სის მმართებლობამ [illegible] ნეტს, ბევრათ არ ეჭაშნიკება ეს დანიშნვაო.

# განცხადებანი

მიწა იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—1)

**ჩაის მცოდნე პირთ და მსურველებს**

შეუძლიათ იყიდონ პირველ მოკრეფის ჩაი **ინგლისის მაღაზიაში** 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადარონ 1 მან. 60 კაპ. და 3 მან ჩაის ყველგან თფილისში და გაიგებენ, რომ **ინგლისის მაღაზაში** ნაყიდი ჩაი ბევრათ უკეთესია. ამის გარდა ჩაი იყიდება წმინდა წონით, უქაღალდოთ. (100—1)

**ახლად მიღებული**

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (12—1)

---

იყო; გაძლევ უკანვე შენს მზითევს და დაბრუნდი ისევ მამა შენთან; მე უნდა დამშორდე“. გრიზელდამ გაუძლო ამ მწარე სიტყვებსაც, შეიმაგრა თვალებზედ მწუხარების ცრემლი და მტკიცის ხმით მოახსენა გვალტიერს: „მე კარგათ მახსოვს ჩემი შთამომავლობა, რომელიც არ არის ღირსი თქვენის კეთილშობილობისა, მე ისევ მახსოვს, რომ ღმერთის და თქვენი კეთილი-გულის შემწეობით მივახწიე ამ ბედნიერებამდინ, რომელშიაც ეხლა ვარ; ჩემი უწმინდესი ვალია, ავასრულო, როგორც მონამ, ყოველივე თქვენი ბრძანება; აი ეს ჯვარწერის ბეჭედი მიიღეთ უკანვე; მომეცით ნება დავბრუნდე მამი-ჩემის ქოხში იმ ტანისამოსით, რომლითაც მოვედი თქვენს დარბაზში“.

გვალტიერმა მარტო ერთი ჩადრი გამოიმეტა და გაისტუმრა ცოლი მამასთან. გრიზელდა ტიტველ-შიშველა, გაწეწილი თმებით და მდუღარე ცრემლით მიადგა ისევ თავის მამის ქოხსა. მამამ მიიღო ის, მისი ძველი ტანისამოსი გამოუტანა და ჩააცვა. გრიზელდა ისევ ძველი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა, ე. ი. დადიოდა მინდორში ნახირთან, უვლიდა თავის მამას, თავიანთ ქოხსა და სხვ. ცოტა ხნის შემდეგ გვალტიერმა გამოაცხადა მეორე ცოლის შერთვა—ერთი გრაფის ქალისა. გაგზავნა გრიზელდასთან კაცი და ათქმევინა: „დღეს მე მაქვს ქორწილი, რომლისათვისაც ვმართამ დიდ წვეულობას. რადგანაც არ მოიპოვება აქ იმისთანა ქალი, რომელსაც შეეძლოს შენზედ უკეთესად მასპინძლობა, ამიტომ ქორწილის თავდარიგობას შენ გაბარებ, ყველა ტოლი ქალები დაპატიჟე, ვისაც კი იცნობდე, ყველაფერი გაარიგე და ყველაფერს ყური უგდე; მერე კი ისევ დაბრუნდები მამაშენის ქოხში.“—გრეზელდა დათანხმდა, დანიშნულ დღეს გვალტიერის დარბაზში მიალაგ მოალაგა ოთახები, რაც მოსამზადებელი იყო, მოამზადა, ერთი სიტყვით იმ დღეს იმის ხელებს არ დაუსვენიათ. გვალტიერი ამას გულგრილათ უცქეროდა, თუმცა გულში ჰკვირობდა გრიზელდის სურგძელობას. ამ დროს გვალტიერმა დაიბარა თავისი ნათესავი გრაფი ცოლიც, (ქალ-ვაჟის ძიძა და მორდუ); გრაფი მოვიდა ცოლით და გვალტიერის შვილებით. იმათი მისაღებლად გვალტიერმა გაალო დიდი ზალის კარები, საიდგანაც მოეგება გრიზელდა, რომელმაც დაბლაც დაუკრა თავი და ზალაში შეიპატიჟა. ამ დროს სასტუმრო ზალაში ყველასი ყურადღება იყო მიქცეული გვალტიერის საცოლოზედ; ვიღას ახსოვდა, ვინ იყო გრიზელდა. სულ პატარძლის ქებაში იყვნენ, ზოგნი ამბობდნენ კიდევაც: გვალტიერი ძალიან გონიერად მოიქცა, რომ გრიზელდას დაშორდა და ამისთანა მშვენიერ ქალს ირთამს. ამ დროს გრიზელდა კუნჭულში იდგა და ჰკვირობდა პატარძლის და იმისი უმცროსი ძმის სილამაზეს.

გვალტიერმა ამ გვარათ მოიკლა სურვილის ძალა, გამოსცადა ყოველივე მხრით გრიზელდა, მისი მოთმენა და სულ-გრძელობა, დარწმუნდა, რომ გრიზელდას აქვს სამაგალითო მოთმინება, რომელსაც ვერ შეარყევს არა სასტიკი გაჭირვება და განსაცდელი, დარწმუნდა, რომ იმას შეუძლიან უვნებლად დაამყაროს ოჯახი გრიზელდის მაგარ ხასიათზედ და გარდასწყვიტა გრიზელდის წვალებიდგან დახსნა.

როცა ყველანი შეიკრიბნენ სასტუმროში, გვალტიერი მიუახლოვდა გრიზელდას და ღიმილიანი ღიმილით ჰკითხა: „მოგწონს, თუ არა, ჩემი საცოლო?

— ოჰ! როგორ არ მომწონს! რა მშვენიერებაა! თუ იმისთანავე სული აქვს, როგორც შეხედულობა, მაშინ თქვენ, ხემწიფევ, იქნებით უბედნიერესი ქმარი ქვეყნიერობაზედ, მაგრამ, ღვთის გულისთვის, ბატონო, არ მიაყენოთ იმისთანა კადნიერობა, როგორიც პირველ ცოლს; ეგ ვერ აიტანს მცირე მწუხარებასაც. პირველი ცოლი დაიბადა მწუხარებაში, გამოიზარდა მწუხარებით და იმიტომაც შეჩვეული იყო მწუხარების ატანას, ეგ კი, როგორც თქვენვე ხედამთ, ნაზი ქმნილებაა... გვალტიერი ამ სიტყვების შემდეგ მიუახლოვდა გრიზელდას და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა: „გრიზელდა, ახლა კი დრო არის მოჰკრიფო ნაყოფი შენის დაუფასებელი მოთმინებისა; დრო არის აუხსნა თვალები იმათ, რომლებიც მე მიძახიან სასტიკს და უსამართლო მამას; მე შენ გცდიდი და შენ ერთგულობა და სიყვარული დამიმტკიცე. ჩემთა ხელთქვეითებმაც შეიტყეს შენი დაუფასებელი თვისებები; დასაჯილდოებლად ერთგულებისა, რომელიც შენ მე დამიმტკიცე სიტყვითაც და საქმითაც, გაძლევ ყველაფერს, რაც წაგართვი, და ყველა გულის წყლილებს გირჩენ საუკუნოთ ერთის სიტყვით... ჩამიბარებია შენთვის ეს ქალბატონი, რომელიც შენ ჩემი საცოლო გეგონა, აგრეთვე იმისი ძმა,—ესენი შენი ნამდვილი შვილები არიან; მეც ხელმეორეთ შენი ქმარი ვარ, უბედნიერესი კაცთაგანი და გარდაეხვია გრიზელდას, რომელსაც სიხარულის გამო თვალებიდგან გადმოსდიოდა ხვით-ხვითი ცრემლები; სტუმრები გაოცებულნი იდგნენ და ჰკვირობდნენ გვალტიერის საქციელს; გვალტიერმა რომ გაათავა თავისი სიტყვები, გრიზელდა გაიყვანეს მეორე ოთახში, საჩქაროთ გარდააცვეს შესაფერი ტანისამოსი და დიდის ზეიმით გამოიყვანეს სასტუმრო ოთახში, სადაც დაიწყეს მხიარული სტუმრობა და ქეიფის გაწევა. ყველანი ხარობდნენ და მარიკაზს აქებდნენ, მაგრამ გრიზელდის ქებას კი ვერ ვის ენა გამოსთქვამდა საქმით.

ნ. დევდარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალანსი

## თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 ივლისს 1881 წელსა.

აქტივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში — — — | 14,242 | 31 | | |
| გირაოს ფურცლები გადამ. — — | 700 | | | |
| „ „ უვადოთ წარმოდგენილი ვალის გარდასახდელათ — — | 69,600 | „ | 84,542 | 31 |
| 2) მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის თფილისის განყოფილებაში — — — — | 591 | 51 | | |
| ბ) ქირძო ბანკებში — — — | 1,185 | 61 | | |
| გ) კორრესპონდენტებთან — — | 64,840 | 94 | 66,618 | 60 |
| 3) შესატანი: | | | | |
| ა) საწევრო ფული თფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში — | — | — | 30 | „ |
| ბ) — — — | | | | |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შენახულნი სახელმწიფ. ბანკის თბილისის განყოფილებაში (101,200) — | 91,302 | 33 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები (3,000) | 3,919 | 04 | | |
| %% — — — — — | 648 | 90 | 95,870 | 27 |
| 5) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე $54\frac{1}{2}$ წლით — | 447,000 | „ | | |
| ბ) მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წ. — | 379,900 | „ | | |
| გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოთ $27\frac{1}{2}$ — — — — — | 649,900 | „ | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოთ 18 წლით და 7 თვით — — — | 19,200 | „ | 1.496,000 | „ |
| 6) გრძელ ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით და გირაოთ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით — | 203,000 | „ | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27\frac{1}{2}$ წლით | 477,600 | „ | 680,600 | „ |
| 7) სესხნი, რომელნიც დანიშნული იყო გასაცემათ. | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წლით | | | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27\frac{1}{2}$ წლით | | | | |
| გ) „ „ „ „ 18 წლით და 7 თვით | | | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა ლგოტა (§ 13) | | | | |
| ა) გრძელ-ვადიან სესხზე — — | 71,078 | 61 | | |
| ბ) მოკლე ვადიან სესხზე — — | 2,416 | 03 | 73,494 | 64 |
| 9) ვადა გასული შემოსატანი ფული — | — | — | 11,523 | 82 |
| 10) მოკლე ვადიანნი სესხნი — — | — | — | 113,775 | „ |
| 11) გირავოს ფურცლები, საკამისიოთ მიღებულნი (291,900) — — | — | — | 235,020 | „ |
| 12) დაბრუნებული ხარჯი — — | — | — | 1,686 | 25 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადასახდელი | | | | |
| 24) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის — — | 2,901 | 32 | | |
| ბ) ბანკის გამგეობის შენახვა — — | 13,181 | 31 | 16,082 | 63 |
| ბალანსი | | | 2,875,242 | 98 |

პასივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) გრძელ-ვადიანი სესხისათვის — — | 174,580 | 76 | | |
| ბ) მოკლე ვადიანი სესხისათვის — — | 114,448 | 26 | 289,029 | 02 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხი, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით — — | — | — | 14,972 | 33 |
| ბ) ურთი-ერთ შორის თანდებობით გაცემულ სესხზე | | | | |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებათათვის | | | | |
| 4) „ „ რომელიც ზედამხედველ კომიტეტის განკარგულებაში — — | — | — | 790 | 80 |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა — — | — | — | 6,356 | 64 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლათ გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| $54\frac{1}{2}$ წლით — — — | 447,000 | „ | | |
| $43\frac{1}{2}$ „ — — — | 379,900 | „ | | |
| $27\frac{1}{2}$ „ — — — | 649,900 | „ | | |
| $18\frac{1}{2}$ და 7 თვით — — | 19,200 | „ | 1,496,000 | „ |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნია ურთი-ერთ შორის თანდებობის გირაოთ მიღებულ უძრავთ ქონებათა: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით — — — | 203,000 | „ | | |
| $27\frac{1}{2}$ „ — — — | 477,600 | „ | 680,600 | „ |
| 18 წ. და 7 თვით | | | | |
| 8) გასაცემად დანიშნული გირაოს ფურცლები: | | | | |
| $23\frac{1}{2}$ წლით | | | | |
| $27\frac{1}{2}$ „ | | | | |
| 18 წ. და 7 თვით | | | | |
| 9) მოსასპობლად დინიშნული სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით — | 69,600 | „ | | |
| ბ) ნაღდი ფულით — — | 233 | 78 | 69,833 | 78 |
| 10) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცლელები ჯერ წარუდგენელნი გადასახდელათ | — | — | 20,800 | „ |
| 11) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები — — — — | — | — | 56,445 | „ |
| 12) სარგებლის ფონდი — — — | — | — | 65,298 | 19 |
| 13) ვალის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| $54\frac{1}{2}$ წლით — — — | 653 | 74 | | |
| $43\frac{1}{2}$ „ — — — | 1,134 | 84 | | |
| $27\frac{1}{2}$ „ — — — | 6,886 | 27 | | |
| 18 „ და 7 თვით — — | 578 | 71 | 9,253 | 56 |
| 14) ვალის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თანდებობით: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით — — — | 952 | 97 | | |
| $27\frac{1}{2}$ „ — — — | 6,933 | 03 | 7,886 | „ |
| 18 „ და 7 თვით | | | | |
| 15) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდი ფულით — — — | 17,233 | 79 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით — — | 700 | „ | 17,933 | 79 |
| 16) კორრესპონდენტები — — — | — | — | 91,600 | „ |
| 17) მესხებელნი — — — — | — | — | 7,639 | 86 |
| 18) დაფასების დროს და სხვა დასახარჯავი ფონდი — — — — | 26,500 | 18 | | |
| 19) მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი — | 3,141 | 27 | | |
| 20) ჯარიმის ანგარიში — — — | 2,792 | 41 | | |
| 21) სხვა-და-სხვა სარგებელი — — | 8,269 | 65 | 40,703 | 51 |
| 22) ჯერ არ წაღებული დივიდენდი — | — | — | 100 | 50 |
| ბალანსი | | | 2,875,242 | 98 |

თავმჯდომარე ბანკისა თ. ი. ჭავჭავაძე.

წევრნი: { თ. დ. ავალიშვილი
თ. ა. ჩოლოყაშვილი.

ბუხგალტერი ქ. ხახატურიანი.

Дозволено цензурою· Тифлисъ, 28 Іюля 1881 г· Типографія С· Меликова· გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი